სამხარეო ადმინისტრაციაში ცხოველთა ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნების შესახებ იმსჯელეს

25 მარტი 2021

შიდა ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში მიუსაფარი ცხოველების ზრუნვის პოპულარიზაციისა და ინტერმუნიციპალური სააგენტოს დაფუძნების შესახებ შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებული მამუკა საღარეიშვილი, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ადგილობრივი თვითმმართველობისა და რეგიონის განვითარების ცენტრის წარმომადგენლები დაესწრნენ. მხარეებმა რეგიონში მიუსაფარი ცხოველებთან დაკავშირებულ გამოწვევებზე და სამოქმედო გეგმებზე ისაუბრეს. ასევე, განიხილეს სააგენტოს დაფუძნებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით გორში ცხოველთა ინტერმუნიციპალური თავშესაფარი აშენდა, რომელიც მოიცავს ადმინისტრაციულ და კარანტინის შენობებს, ვეტერინარულ კლინიკას, ლაბორატორიას, ვოლირებსა და ყველა სხვა აუცილებელ ინფრასტრუქტურას. სამომავლოდ, თავშესაფრის ფუნქციებში შევა ცხოველის პატრონის დადგენის ან ახალი პატრონის მოძიების მიზნით, ქმედითი ღონისძიებების გატარება, ცხოველთადაცვით ორგანიზაციებთან ერთად, ცხოველებზე ზრუნვისკენ მიმართული საინფორმაციო კამპანიების წარმოება.